საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 2 აპრილის შუალედური არჩევნები

კენჭისყრა იმართება 08:00-დან 20:00-საათამდე

ამომრჩეველთა საყურადღებოდ!

პანდემიის პირობებში კენჭისყრის პროცესი უსაფრთხოა. კენჭისყრის შენობაში გათვალისწინებულია ინფექციის გავრცელების ყველა პრევენციული ღონისძიება.

გაიარეთ მარკირების შემოწმების პროცედურა.

კენჭისყრის ოთახში შესვლამდე დაიმუშავეთ ხელები შესასვლელში განთავსებული ხელის სადეზინფექციო სითხით.

ნაკადის მომწესრიგებელ კომისიის წევრს წარუდგინეთ პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი და დროებით მოიხსენით პირბადე იდენტიფიცირების მიზნებისთვის.

კენჭისყრის შენობაში არ დაიშვებით და კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება არ მოგეცემათ, თუ:

- საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის წარდგენის დროს დროებით არ იხსნით პირბადეს
- აღმოჩნდა, რომ გაქვთ მარკირება

მარკირების შემოწმების პროცედურის გავლის შემდეგ მიდით სარეგისტრაციო მაგიდასთან, რეგისტრატორს წარუდგინეთ პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი და დროებით მოიხსენით პირბადე.

გაიკეთეთ მარკირება.

კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება არ მოგეცემათ, თუ:

- საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის წარდგენის დროს დროებით არ იხსნით პირბადეს
- უარს აცხადებთ მარკირებაზე

ამომრჩეველთა სიაში თქვენი გვარის გასწვრივ გააკეთეთ ხელმოწერა.

ხელმოწერისთვის გამოიყენეთ რეგისტრატორის მაგიდაზე განთავსებული ინდივიდუალური მოხმარებისთვის განკუთვნილი კალმისტარი. ამავე კალმისტრით ისარგებლეთ ფარული კენჭისყრის კაბინაში საარჩევნო ბიულეტენის შევსებისას.

მიიღეთ რეგისტრატორისგან ბეჭდითა და ხელმოწერით დამოწმებული საარჩევნო ბიულეტენი.

უსინათლო ამომრჩეველს საარჩევნო ბიულეტენის დამოუკიდებლად შესავსებად შეუძლია რეგისტრატორისგან მიიღოს სპეციალური ჩარჩო-ფორმა.

მცირემხედველ ამომრჩეველს საარჩევნო ბიულეტენის დამოუკიდებლად შესავსებად შეუძლია რეგისტრატორისგან მიიღოს გამადიდებელი ლინზა.

ყრუ ამომრჩეველს ხმის მიცემის პროცედურაზე ინფორმაციის მისაღებად შეუძლია ისარგებლოს ჟესტური ენის მცოდნე ოპერატორის მომსახურებით, ცესკოს ვებგვერდზე რეგისტრაციის გავლის შემდეგ.

ფარული კენჭისყრის კაბინაში საარჩევნო ბიულეტენში შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი ერთი საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი.

თუ დამოუკიდებლად არ შეგიძლიათ შეავსოთ საარჩევნო ბიულეტენი, უფლება გაქვთ ფარული კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მოიწვიოთ ნებისმიერი პირი, გარდა საარჩევნო კომისიის წევრისა, კანდიდატისა, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალების წარმომადგენლისა და დამკვირვებლისა.

თუ გაგიფუჭდათ საარჩევნო ბიულეტენი, მიმართეთ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, გადაეცით გაფუჭებული და მოითხოვეთ ახალი საარჩევნო ბიულეტენი.

კენჭისყრის კაბინიდან გამოსვლის შემდეგ აიღეთ სპეციალური კონვერტი და დაკეცილი საარჩევნო ბიულეტენი მოათავსეთ მასში.

სპეციალური კონვერტი მოათავსეთ საარჩევნო ყუთში.

ხმის მიცემის პროცესში გამოყენებული ინდივიდუალური მოხმარებისთვის განკუთვნილი კალმისტარი დატოვეთ სპეციალურ კონტეინერში.

კენჭისყრაში მონაწილეობის შემდეგ დატოვეთ კენჭისყრის შენობა.

ცესკო საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

კენჭისყრის შენობის დატოვებისას ისარგებლეთ გასასვლელში უზრუნველყოფილი ხელის სადეზინფექციო სითხით.